



გაზეთი გაეოღის  
1930 წლის 5  
ნოემბრიდან

samtredlismacne @ gmail.com

# მაცნე

## სამტრედიის

N14 (9301)

21 მაისი, 2019 წელი

ფასი 50 თეთრი



2

საგანგებო ხალხი კვლავ ზრიორიშეთიან

“აწა უგულუბელ კყო  
ეწი იგო სანუბუწო”



4

ჩემი და ჩვენი  
სამტყედია! **11**



2

ხიონი ზუთხის ბუნებუივი დაბოხაკოხია

ცაუი ასული ვაზივით ღმერთს  
გალოზით ავადრუბღნენ ქართვლოზას

6

ერთგანეთის და ქართვლოზის  
სიყვანულის სიბღნა



**3** ქაცი, ხომედმაც ტადიხსუენ გზა გაიყვანა  
კიღავ ერთი სამეცნიერო კონფერენსიის უესანუბ

# საბავშვო ბაღები კვლავ პრიორიტეტია

თბა ბავშვთა უფრო

მორიგი თუ რიგგარეშე შემოვლა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასათვალისწინებლად, ცოტა ხნის წინ მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ ქალაქ სამტრედიის მერის წარმომადგენელ თენგი ცაგურასა და სკოლაში დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორ ხათუნა გაგუასთან ერთად მოაწყო. სამუშაოები, სკოლაში დაწესებულებებში რომ უნდა შესრულდეს, მათი ინფრასტრუქტურის აღსადგენად და გასაუმჯობესებლად არის განკუთვნილი. გულისხმობს წინა ფასადების, სველი წერტილების, საბავშვო ჯგუფების, სამხარეულოების, შესაბამისი გაყვანილობების მოწესრიგებას, დაზიანებული სახურავების შეკეთებას და

ეზოების შემორაგვას. ჯამში 354 ათასი ლარის სამუშაო რეგიონალური განვითარების ფონდიდან და ადგი-



ლობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება. მათ ტენდერში გამარჯვებული ორი სამშენებლო ორგანიზაცია – შპს “გუდა” და შპს “Georjian Company” შეასრულებს.

იმ დღეს მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ და მისმა თანმხლებმა პირებმა №1, 2, 4, 11 და დაბა კულაშის საბავშვო ბაღები მოინახულეს, მიმდინარე სამუშაოებს თვალი გადაავლეს და სხვადასხვა ინფორმაციები მიიღეს შემდგომ საჭიროებებთან დაკავშირებით. ყველა ჩამოთვლილი სკოლაში დაწესებულებების მმართველი აცხადებდა, რომ იმ რაოდენობის და იმ დატვირთვის სამუშაოები, ამჟამად რომ მიმდინარეობს საბავშვო ბაღებში, უკვე ათეული წლებია არ ჩატარებულა, არადა, მათი ჩატარება ჰაერითი საჭირო და აუცილებელი გახლდათ.

ვალერიანე ფოცხვერიამ, როგორც

სხვა დროს არაერთხელ, ამჯერადაც აღნიშნა, რომ ნებისმიერი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ჩატარებისას, არ აქვს მნიშვნელობა, რა დანიშნულების ობიექტზე ტარდება იგი, ხარისხი განსაზღვრელია, ერთხელ გაკეთებულს მცირე დროში კვლავ მიბრუნება არ უნდა დასჭირდეს. გარდა ამისა, როგორც მან აღნიშნა: “მუნიციპალიტეტის 24-ვე საბავშვო ბაღი მანამდე იქნება ყურადღების ქვეშ ინფრასტრუქტურული კუთხით, სანამ საბოლოოდ არ დაამთავრდება ევროპული სტანდარტების დონეს.” მან ხაზი გაუსვა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისთვის საბავშვო ბაღები იმ პრიორიტეტებს შორისაა, უპირველესად და განსაკუთრებული მზრუნველობით რომ უნდა მოვარდეს.



ორივე მშენებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები დათქმულ ვადებში სამუშაოების ხარისხიანად შესრულების პირობას დებდა. აღსანიშნავია, რომ ბავშვების მმართველები ამ ეტაპზე კმაყოფილები იყვნენ ჩატარებული სამუშაოების მიმდინარეობითა და ხარისხით.

# ჩიონი ზუთხის ბუნებრივი დაბოხაყოფა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საინფორმაციო შეხვედრა გამართა დაცული ტერიტორიების სააგენტომ, რომელიც ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდიდან ერთად ახორციელებს პროექტს. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს რიონის ადგილობრივი დაცული ტერიტორიების შექმნას. მისი მთავარი დანიშნულებაა ზუთხისებრთა კონსერვაცია, ანუ დაცვა ამ რეგიონში.

სამტრედიის დაინტერესებულ პირებთან შეხვედრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისის ერთობლივი ინიციატივით შედგა.

პერეზენტაცია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისის კონსერვაციის პროგრამის კოორდინატორმა წარმოადგინა.

მაკა ბიჭიძემ ყურადღება გაამახვილა ზუთხისებრთა ოჯახის იმ 6 სახეობაზე, რომელიც წითელ ზონაშია შეყვანილი. საუბარი შეეხო იმ უბნებს და მონაკვეთებს, რასაც ადგილობრივი ტერიტორია მოიცავს.

საინფორმაციო შეხვედრაზე გამოკვეთილად ითქვა, რომ მდინარე რიონი არის გლობალური მნიშვნელობის არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოში. ეს არის ბუნებრივი ლაბორატორია ზუთხისებრთა ჯიშისთვის, სადაც მისი გადარჩენა და გამრავლება შესაძლებელია.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი ნატო სულთანისვილი, იმერეთის გუბერნატორის მოადგილე ბესიკ გოჭაძე, სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. პრეზენტაციის ბოლოს კითხვა-პასუხი გაიმართა.

6067 ნახტავი



# ოჰ, ეს მავნებელი

როდის დაგვანებებს თავს?

არათუ თავის დანებება, სოცრად მრავლდება აზიური ფაროსანა თუ არ “გუწამლეთ” და თავსატეხსაც გვიჩენს ჩვენი ქვეყნის ამერ-იმერში უკვე ხალხისთვის პრობლემად ქცეული შორეული მწერი.

ფაროსანას წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლა გრძელდება და მასში მოქალაქეები, შესაბამისი სამსახურები, შესაბამის სპეციალისტებთან ერთად არიან ჩართულები.

“აპრილ-მაისში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიულ ერთეულში, ქალაქში, დაბა და სოფლებში დამონტაჟდა ე. წ. “სტრეს ფერომონები”, ისინი წებოვან ფირფიტას წარმოადგენენ. ტერიტორიის (მოცულობის) სიდიდის მიხედვით განისაზღვრა “სტრეს ფერომონების” რაოდენობის განსაზღვრა. შემდეგ მონიტორინგის შესაბამისად მონაცემები ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის შტაბში გადაიზიარდება, შედეგების მიხედვით მოხდება “მოიზიდ და მოკალის” ფერომონების დამონტაჟება, მომდევნო ეტაპზე არა ნისლით, არამედ წერტილოვანი შეწამვლა განხორციელდება “ზონდების” ხსნარით. შეწამვლის წინ, რა თქმა უნდა, გაფრთხილებიან მოსახლეობა, მეფუტკრეები”. – განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტმა, ბატონმა მიხეილ სხვიტარიძემ.

ვიმედოვნებთ, მავნებლის წინააღმდეგ ორგანიზებული, მასშტაბური ბრძოლა, რიგი ღონისძიებები სასურველ შედეგს გამოიღებს და ფაროსანასაც ბოლოს და ბოლოს დაუამარცხებთ.

ლევან ბაჩუაძე

# ჯაცი, ხომეღმაც ტაძისხენ გზა გაიყვანა კიდეჲ პართი სამეცნიერო კონფერენციის შესახებ

ქეთევან ჭაბუკიანი

**სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში ნიუ ნიოლაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა, დიდი მამულიშვილისა და მისი ვაჟის, გიორგი ნიოლაძის საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა. ნიუ ნიოლაძეს დაბადებიდან 175, ხოლო გიორგის 130 წელი შესრულდა. მათ ღვაწლზე სასაუბროდ ერთხელ კიდევ შეიკრიბნენ დიდ ჯიხაიში მეცნიერები, ნიუ ნიოლაძის მეგობარები, აგრეთვე, ის ადამიანები, ვისთვისაც ძვირფასია მათი ხსოვნა და საქვეყნო საქმეები.**

ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და ზესტაფონის ფეროშენაღობთა ქარხნის გენერალური დირექტორი ვასილ გველეხიანი თავის თანამშრომლებთან ერთად ეწვია სახლ-მუზეუმს. ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მისი მოადგილე დავით ბახტაძე, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, მერის წარმომადგენელი დიდ ჯიხაიში ნუგზარ ნუცუბიძე დაესწრნენ. ასევე მოვიდნენ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრებიც: გივი ლაღანიძე, მამუკა ბიბილეიშვილი და აკაკი მინაშვილი.

სამეცნიერო კონფერენცია ნიუ ნიოლაძის სახლ-მუ-

თლაც, ყველა პრაქტიკული საქმე, მე-IX საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოში მან დაამყარა. ის, რომ პირველი ბანკი შექმნა, ობლიგაციები დაბეჭდა... რეალური სასწავლებელი დააარსა, კარგი იყო კლ-



ზეუმის დირექტორმა ლია ბიბილეიშვილმა გახსნა. თემა, რომელიც მან კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა, გიორგი ნიოლაძეს შეეხო. თუმცა, მანამდე მადლიერება გამოხატა იმით მიმართ, ვის თანადგომასაც მუდმივად გრძობენ სახლ-მუზეუმში.

40 წელია, ამ მუზეუმს მიევახლები, – ბრძანა გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა დალი ჩიველიაძემ. 40 წელია, ნიუ ნიოლაძეს ივლევეს იგი და თავის სტუდენტებსაც შეაყვარა ეს მრავალმხრივი ნიჭიერი თანამშრომელი ჩვენი თანამემამულე. აღნიშნა, რომ ნიოს, გიმნაზიის სტუდენტს, თუ როგორ ჰქონდა ოცნებად გადაქცეული მღვდელი გამზდარიყო. “რა გვემელებოდა, მაშინ ქართველებს, ამდენი საქმის წამომწყები კაცი მღვდელი რომ ყოფილიყო” – თქვა მან. – “ულამობელი საქმის კაცი” უწოდეს მას. და მარ-

ასიკური განათლება, მაგრამ ექიმი სჭირდებოდა სოფელს, ბეითალი, ანუ ცხოველების ექიმი, ეკონომისტი, გზის მშენებელი. ჰუმანიტარული განათლება მიიღეს, ისწავლეს ლათინური, ფრანგული, გერმანული მაგრამ ფიქრობდა, რომ ჩვენმა მცირერიცხოვანმა ერმა უნდა შექმნას დოკლავთი, გასატანი მეტი უნდა ჰქონდეს, ვიდრე შემოსატანი. ნიუ ნიოლაძე ყველაფერი პირველის დანერგვის არაჩვეულებრივად მოწადინებული, გონებით ევროპული აზროვნების კაცი იყო.

82 წლის იყო, საქართველოში რომ დაბრუნდა ლონდონიდან. ემიგრაციაში არასდროს ყოფილა, იქ ნიუ ფორდანას მთავრობამ გააგზავნა “ჩემოს” პრობლემების მოსაგვარებლად. 85 წლის გარდაიცვალა, 1928 წლის 1-ლ აპრილს. მანამდე მოასწრო კერძო გამომცემლობის დაარსება თბილისში, რომლის თანაწყობები ივანე ჯავახიშვილი, კორნელი

კეკელიძე, ივანე ბერიტაშვილი... არიან. პირველად ილია ჭავჭავაძის 5 ტომეული გამოსცა პავლე ინგოროვასთან ერთად. რომ ჰკითხეს: თქვენი ნაწერები, უპასუხა: – ჩემი ნაწერები დროს გაჰყვა, ილია უნდა ადღგეს და საზოგადოებამ გაიცნოსო. ეს ის დროა, როცა ფილიპე მახარაძის წყალობით ილია არ ისწავლებოდა სკოლებში, თავადიშვილიაო და არც აკაკი. ეგნატე ნინოშვილით უნდა დაწყებულიყო ქართული მწერლობა”.

მეგლევარმა გიორგი ნიოლაძემაც გაამახვილა ყურადღება. უნაკლო ფიზიკურობის გარდა ხაზი მის სპორტულ მონაცემებსაც გაუსვა. რომ მან ჩამოაყალიბა საქართველოში სპორტული საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეც თვითონ იყო. როგორ დადიოდა ჩქარი ნაბიჯითა და მოკლე შარვლით იგი სახლიდან იანეთში და უკან. როგორ ცდილობდნენ სოფლის ახალგაზრდები, გიორგის დამსგავსებოდნენ და ევარჯიშათ. გაუშვა თავისი უმცროსი და, თამარი ევროპაში, საიდანაც ტანვარჯიშში ევროპის ჩემპიონი დაბრუნდა. რომ გიორგი ნიოლაძე გეომეტრიაში ორი თეორემის ავტორია, სადოქტორო დისერტაცია კი პარიზში დაიცვა. ქალბატონმა დალი ჩიველიაძემ ნიუ ნიოლაძის პროგრესულად მოაზროვნე მეუღლეს, ოლდა გურამიშვილსაც ისაუბრა.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის პროფესორი რამაზ ნამიჭიყაშვილი ნიუ ნიოლაძის საზოგადოების პრეზიდენტიცაა. 20 წელია, ნიოლაძის მეგლევარი ვარო, დასძინა. “ზენ ვართ ბენდიერი ხალხი, რადგან გვაქვს კაცი, რომელმაც ტაძისხენ გაიყვანა გზა”. – აღნიშნა მან. ნიუ ნიოლაძის მნიშვნელოვანი წიგნი “მამულის სიყვარული და მსახურება” შეახსენა დამსწრეთ, რომელშიც ეს დიდებული ქართველი ავითარებდა აზრს, რომ უნდა გქონდეს ცოდნა და გიყვარდეს შენი ქვეყანა. აღნიშნა: “ჩამოთვლა გამწვანდება, იმდენად მრავალმხრივი იყო ნიუ ნიოლაძე. ის ევროპაში მოღუნული არ შესულა, არამედ ყინვად შევიდა, ამბობდა: ეს კარგია, ეს არ ვარგა! ყველგან შინ იყო, – წერდა კალისტრატე ცინცაძე მასზე. რამდენიმე ენას ფლობდა ნიუ. ყველაფერში სანიშნო იყო”.

ბატონმა რამაზმა, სხვა გამოშვებულების მსგავსად, გულისტკივილი გამოთქვა, რომ საქართველოში, ნიუ ნიოლაძეს მიუხედავად მისი დამსახურებისა, ნაკლებად იცნობენ. ეს მოსაზრება განავითარა, ძირითადად, თავის გამოსვლაში სამტრედიის რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა ალექსანდრე თევზა-



ძემ და ნიუ ნიოლაძის სახელის პოპულარიზაციისთვის მისი სკოლაში სწავლების აუცილებლობაზე მიუთითა.

როგორც თვითონ აღნიშნა, ყველა წამოწყებას მიესალმება ბატონი ვასილ გველეხიანი, რაც კი ნიოლაძეების სახელთან იქნება დაკავშირებული. “ამ ოჯახმა შეუდარებელი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნისთვის, უამრავი რამ გააყვია და მისი პოპულარიზაცია თითოეული ჩვენგანის ვალაა”. – განმარტა მან. ისაუბრა გიორგი ნიოლაძის მიერ ზესტაფონის ფეროშენაღობთა ქარხნის დაარსებაზე, თუ როგორ იზრუნა მან მარგანცი მზა ნაწარმის სახით გასულიყო საზღვარგარეთ, და ზოგადად, საქვეყნო საქმეებისთვის



ზრუნვას თუ როგორ გადააყოლა ჯანმრთელობა, რაც მისი გარდაცვალების მიზეზიც გახდა. ბატონმა ვასილმა ფეროშენაღობთა ქარხანაში არსებულ მუზეუმსაც ისაუბრა, სადაც ბევრი ისტორიული ნივთია გამოფენილი. საიმოვნებით აღნიშნა, რომ სკოლებიდან უკვე ინტენსიურად დადიან ბავშვები საწარმოში, სა-

დაც სურვილი აქვთ, შესაბამისი საგნის მიხედვით იქ გაიარონ სწავლება. რაც შეეხება დიდ ჯიხაიში ექსკურსიებს, მან რამდენჯერმე შესთავაზა ზესტაფონელ მოსწავლეებს, ქარხანა დაფინანსებდით, თუკი აქ ჩამოსვლის სურვილი გაუჩნდებოდათ.

ნიუ ნიოლაძის სახლ-მუზეუმში სპეციალურად იმ დღისთვის ნანაკუჭხიძე ოჯახის წევრებთან ერთად რუსთაველი ჩამოვიდა. ქალბატონი ნანა რუსთაველი მე-5 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგია, რომელიც იაკობ გოგებაშვილის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოცემულ კონკურსში “ქართული თემა, ქართული აზრი” იღებს მონაწილეობას. თემების შერჩევას იგი ნიუ ნიოლაძით დაინტერესდა. რაც უფრო გაეცნო ამ ბუმბერაზი პიროვნების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, სურვილი გაუჩნდა, კიდევ მეტი სცოდნოდა მასზე. როგორც ქალბატონი ნანას ქალიშვილი ირინა სარალიძე გვიყვება, მათ სახლში ახლა, ძირითადად, ნიუ ნიოლაძეზე საუბრობენ. აღფრთოვანება ვერ დაფარეს სახლ-მუზეუმის დათვალიერებისას და დანაშაულად ჩათვალეს, სასიქადლო თანამემამულეს თავის სამშობლოში კარგად რომ არ იცნობენ. ღონისძიების დასასრულს გამოთქმული სურვილი, ნიუ ნიოლაძის სახლ-მუზეუმის მეგობართა ფონდის შექმნის შესახებ ყველამ აიტაცა.

# “არა უგულვებელ ვყო არი იგი საზავურო”

ნათია ნაცვლიძე

**წლებადგელო წლიდან საქართველოში ოფიციალურად აღინიშნება 12 მაისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრილობის დღე, ეს დღე ამავდროულად, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეც არის. სოფელ დიდ ჯიხაში, ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში ამავე ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა მატათამ (ბერიძე) ტრადიციული წირვა აღავლინა.**

ღვთისმსახურების აღსრულების შემდეგ მან ტაძრის მრევლს მოუწოდა, ერთად დაძრულიყვნენ მსველლობით ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმისკენ, სადაც მოსწავლეები მუზეუმის ეზოში ამ თარიღებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას შესთავაზებდნენ დამსწრეთ. მანამდე კი, მოძღვრებმა, მამა მატათამ და მამა შიო კობერიძემ, დიდ ჯიხაში მცხოვრები შესანიშნავი ახალგაზრდების, ამქვეყნიდან ტრადიციულად წასული ძმების, იოანე და თემურ ვაშაყიძეების საფლავზე პარაკლისი გადაიხადეს. 12 მაისი ერთ-ერთი ძმის დაბადების დღეც არის. სამტრედიამი ყოველწლიურად იმართება ძმებ იოანე და თემურ ვაშაყიძეების მემორიალი ინტელექტუალურ თამაშებში და ამით პატივი მიეგება ნიჭიერი ახალგაზრდების ხსოვნას.

ბუმბერაზი ქართველის, უდიდესი მოაზროვნის, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა შე-

სანიშნავი აკადემიური ღონისძიება შემოგვთავაზეს.

“ქართული და მართლმადიდებლური წარმოდგენით, ივერია არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. საამაფოა, რომ თვით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ერგო ჩვენი სამშობლო. “ქართლის ცხოვრება გვამცნობს”: “და შემდგომად ამაღლების უფლისა რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლად წმიდასა ღმრთისმშობელსა წილად ზედა მოქცევადა ქვეყანა საქართველოსა” – “ქართლის ცხოვრების” ამ მონაკვეთის შესხენებით დაიწყო ღონისძიება. დედაღვთისა აპირებდა მცხეთაში წამობრძანებას, მაგრამ მას გამოეცხადა მაცხოვარი და ამცნო: “ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულვებელ ვყოფი იგი საზავურო უფროის ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებულ ანდრია ნაწილს მას შენდა ზვედრებულსა და, თანაწარატანე ხატი შენი, ვითარიცა პირსა შენსა დაღებთა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცუველად მათა უკუნისამდე ჟამთა.” საინტერესოდ ისაუბრეს იმ სხვა ეროვნების წმინდა მამებზე, რომელთაც ასევე სჯეროდათ, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია. მაგალითად, წმინდა სერაფიმე საროველი აცხადებდა: “სხვა ქვეყნები თუ დაიღუპებიან, ივერია, ვითარცა ღვთისმშობლის წილხვედრი, გადარჩებაო. მოსწავლეებმა ემოციურად წავიფრეს ქართველ პოეტთა: ილიას, აკაკის, გალაკტიონის, ანა კალანდაძის, რეზო ამაშუკელის და სხვათა ლექსები.

საინტერესოა, რომ წმინდა მოციქულთასწორი ნინოც ღვთისმშობლის მიერ არის გამოგზავნილი ივერიაში. ის საწაულმოქმედი ვაზის ჯვარიც სიონის მთაზე გამოცხადებისას, თავად ღვთისმშობელმა გადასცა წმინდა ნინოს. საქართველოში დაიდო ბინა ღვთისმშობლის კვართამაც, ეს შემთხვევით არ მომხდარა, როცა ბიზანტიას საფრთხე დაემუქრა, დედაღვთისას კვართი საქართველოში გადმოაბრძანეს. ღვთისმშობლის წილხვედრობა, ქართული ენის ლაზარეობა, ბაგრატიონების დავითიანობა და უფლის კვართის საქართველოში დაენება არის ის ქვეყნობები ეროვნული იდეოლოგიისა, რომლის საფუძველზეც ახერხებდა საქართველო გადარჩენისთვის ძალების მოკრებას. – ამ იმედიანი ფინალით დასრულდა ღონისძიება, რომელიც ერთგვარად შეაჯამა მამა მატათამ და აღნიშნა, რომ ღვთისმშობლის წილხვედრობა უნდა პატივად და პასუხისმგებლობად აღვიქვათ და არამც და არამც ამპარტყენების და სიამაფის საბაბად. მამა მატათა: “ როცა გავიგონებთ სიტყვებს: საქართველო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ამ დროს ჩვენში უნდა ასევე ცდებოდეს თავმდაბლობა, ღვაწლის სურვილი, ეს ჩვენი დამსახურებით არ ყოფილა, პირიქით, ალბათ, ყველაზე უფროსი რომ ვიყავით, დიდი მფარველი მოგვივლინა ღმერთმა. მაღლობა ამისათვის უფალს.”

ღონისძიების მომზადებაში წვლილი მიუძღვის მართლმადიდებლური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ ნინო ტონიას.



ამავე სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგთან ერთად შეასრულეს შესანიშნავი საგალობლები და და ამით განსაკუთრებული ელფერი შესძინეს სულთმშობლის ერთ დღეს. სიმბოლური იყო ისიც, რომ აკაკი შანიძის

შესანიშნავ ლექსზე შექმნილი ულამაზესი საგალობლით “გვიმღერია, კვლავაც ვიმღერო ჩვენს ტკბილ მრავალწამიერსა” დასრულდა საინტერესო ღონისძიება.

# მხიარული და საზინიანი ფიზიკოსების შეჩინება გეორჯია სკოლაში

ნათია ნაცვლიძე

**“მათემატიკა მეცნიერების დედოფალია”, კარლ ფრიდრიხ გაუსმა, მაგრამ მეცნიერთა სხვა ჯგუფის აზრით, დედოფალი ფიზიკაა, მათემატიკა კი მისი მსახური. ეს ცნობილი გამოთქმები კვლავ კამათის იწვევდა მეორე საჯარო სკოლაში, სადაც, მრავალწლოვანი სტაჟის მქონე, ფიზიკის შესანიშნავი პედაგოგმა, მზია კირთაძემ მზარულთა და საზრიანთა კონკურსზე მიგვიწვია.**

დრამატული და ემოციური გამოდგა შეჯიბრი ფიზიკაში. ერთმანეთს მეთუ და მეთუ კლასები შეერინენ. გუნდები “ფენიქსი” და “დღის ნახტომი” პუბლიკის წინაშე მრავალრიცხოვანი გულშემატკივრებით წარსდგნენ. იმ დღეს სკოლას ეწვია 2019 წლის პედაგოგის ეროვნული ჯილდოს მფლობელი ლადო აფხაზავა. მასთან ერთად ვიზიტის შემადგენლობაში იყვნენ სკოლის დირექტორი თეა კარტიანი, დირექტორის მოადგილე დარეჯან კინწურაშვილი, პედაგოგთა თეა ახობაძე და ვერვიკ ჯიჯელავა. ერთ-ერთმა მოსწავლემ, თემურ გერაძემ ოპორტუნული ლექსი უძღვნა საპატიო სტუმარს, ლადო აფხაზავას და დიდი ფორმალის ფურცელზე დაწერილი საჩუქრადც გადასცა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ღონისძიება საინტერესო და აკადემიური იყო, მოსწავლეებმა გამოავლინეს რთული საგნის, ფიზიკის შესანიშნავი ცოდნა, ტრადიციული მისალოდნის და სახელწოდების წარდგენის შემდეგ, გუნდებს ევალებოდათ წარმოედგინათ ცნობილი ფიზიკოსების პორტრეტები, მოთხრობით ცნობილი მეცნიერების შესახებ საინტერესო ისტორიები, გამოეცნოთ და

მოეთხროთ ამა თუ იმ ხელსაწყოს დანიშნულების შესახებ, რომელსაც ერთმანეთს წარმოედგინდნენ. ერთ-ერთი კონკურსი იყო რეკლამების კონკურსი. აბა, შემოქმედებითი კონკურსი რა კონკურსია, თუ ფიზიკა და ლირიკა არ გაერთიანდა! ასე წარმოადგინეს ამ ნიჭიერმა მოსწავლეებმა ლექსად ნი-



უტონის კანონი და ცეკვა ბოშურიც კულონის კანონის სამსახურში ჩააყენეს. ძალზე შთაბეჭდავი იყო თემურ გერაძის მიერ წარმოდგენილი მზია მასწავლებლის პაროდია. უცებ მოიშალა დრო-სივრცის პირობითობა და მერხთან ცნობილ მასწავლებელს ლეგენდარული ფიზიკოსები გალილეი, ფარადეი და სხვები ესხდნენ. საგნის დრამატიკით, პედაგოგის მიმდევების, ექსტრემული აცის და ინტონაციის შესანიშნავი ათვისებით იმ დღეს თემურ გერაძემ, მართლაც, მიიქცია მათემატიკის ყურადღება. შესანიშნავი მომზადებულები იყვნენ როგორც გუნდის წევრები, ისე მათი გულშემატკივრები, მათ არ გასჭირვებიათ, შემოთავაზებული ასოებით მოკლე დროში შეედგინათ სიტყვა, რომელიც ნიშნავდა ფიზიკურ მოვლენას. გულშემატკივრებს ასევე ევალებოდათ ცნობილი ფიზიკოსების გამონათქვამებ-

ის ცოდნა. ამ მხრივ, მათ, მართლაც, დიდი ნიჭიერება გამოავლინეს. მოსწავლეები ისეთ აზარტზე შევიდნენ, გააპროტესტეს კიდევ, რომ ესა თუ ის გამონათქვამი თქვენს დასახელებულს კი არა, სხვა ფიზიკოსს ეკუთვნისო. ტექნიკის საკუთრებაში გამოსავალი მალე მოინახა – დარბაზიდან შეეშველა მოდავე მხარეებს სტუმრად მოწვეული პირველი სკოლის დირექტორი, ფიზიკოსი ხათუნა ფაილაძე, რომელმაც საძიებო სისტემაში ფაქტი გადაამოწმა და მათ განუმარტა, თუ ვის ეკუთვნოდა დასახელებული გამონათქვამი. ამ პედაგოგთან ერთად მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ასევე, ფიზიკის პედაგოგები ციური ხურცილავა (პირველი სკოლა), მედეა ხურცილავა (მესამე სკოლა), ლენა აბუთიძე (მეორე სკოლა), ცირა მუქერია (მეშვიდე სკოლა), მანანა ჯუღაყიძე (მეთუ სკოლა), ქეთევან ახრახაძე (მეთორმეტე სკოლა). ყველა მათგანმა მზია კირთაძეს უდიდესი მადლობა გადაუხადა და აღნიშნა ამ პედაგოგის უდიდესი დამსახურება. ღონისძიებას დასრულებამდე გამოვითქმა ლადო აფხაზავა, რადგან ქუთაისში მნიშვნელოვან შეხვედრას გაემზავრა. ის გულთბილად მიესალმა შეკრებილთ, განაცხადა, რომ შესანიშნავი თამაშ-თამაშ სწავლების მეთოდი, რომელსაც თავადვე იყენებს მის მოსწავლეებთან. მადლობა მოახსენა მოსწავლეებსა და პედაგოგს საინტერესო დღისათვის და წარმატებები უსურვა მათ.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა, ალექსანდრე თევზაძემ აღნიშნა: “ეს იყო შემოქმედებითად ძალზე დატვირთული ღონისძიება, და კიდევ ერთხელ ვხდებით ქალაქის მზიას ნიჭიერების და პროფესიონალიზმის მომსწრეები.” სადაც 2019 წლის სამტრედიის “ეტალონ” მოსწავლეს, მეორე სკოლელ თამაშ კეკელიძეს მიჰყავდა, რომელსაც სკოლის დირექტორმა სკოლის სახელით საჩუქრად წიგნი გადასცა და მოახლოვებულ წლის ეტალონის გამოსავლენ კონკურსზე წარმატება უსურვა.



# 26 მაისს გილოცავთ, მებრძოლებო!

## ლიპნაზ გაბრეხია

მრავლადაა საქართველოს ისტორიაში თარიღები, დროის სვლასთან ერთად მეტ სიცხველეს, მეტ მნიშვნელობას რომ იძენენ, რომელთა დავიწყებაც წარსულისათვის ზურვის ჩვენების ტოლფასი იქნება.

1918 წლის 26 მაისი ერთ-ერთი გამორჩეული თარიღია ჩვენი ერის უახლესი ყოფისა. ამ დღეს ქართული ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, მაშინდელ მსოფლიოს დემოკრატიული საქართველოს დაბადება ამცნო.

101 წელი გავიდა იმ ისტორიული დღიდან და თითქოს გუშინ იყო ყველაფერი.

სულ ახლახან საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი თანატოლი, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საუკუნოვანი იუბილე აღინიშნა საქართველოში, მის ფარგლებს გარეთ, მეგობარ სახელმწიფოებში დროებით თუ მუდმივად მცხოვრებ

თანამემამულეთა მიერ. საყოველთაო სახალხო დღესასწაულად, ზეიმად იქცა ყოველივე იმთავითვე.

საინტერესო, ბობოქარ ყოფაში გვიწევს ცხოვრება თანამედროვე საზოგადოებას.


დიდი ხანია, ეჭვშეუვლად საუბრობენ, შესაბამისად ეჭვგარეშეა, რომ არა-



ფერი აღუდგება წინ საქართველოს გაწვერიანებას "ნატოში", ევროპულ დიდ ოჯახში. მართალია, აგრესორი მუშობელი ხშირად გვასხენებს თავს სხვადასხვა პოლიტიკური ხრიკებით, თუმცა, დღეს სხვა დროა, როცა გონებით, სალი გონებით უნდა გადაიჭრას ურთულესი პოლიტიკური საკითხებიც კი.

არახალი პრობლემა პრობლემადღე რჩება, დასაბრუნებელია აფხაზეთი, სამაჩხალოსა და საქართველოს ძირძველი, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები. ჩამქრალი კერა და მდუმარე სახლ-კარი ისევ ელის მათ კანონიერ მფლობელებს. სხვა გზა, ხსნა არაა, ჩვენ, ქართველები აფხაზეთში უნდა შევიდეთ, სახალხო დიპლომატიამ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი ამ საქმეში.

70 წლიანი საბჭოური რეჟიმის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიამ ერთხმად გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის პოლიტიკური აქტის საფუძველზე. განუზომელია ყველაფერი ამაში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ზვიად გამსახურდიას დედაწლი. ფართოდ აღინიშნა მამულისა და ერისათვის წამებული ერისკაცის 80 წლის იუბილე საქართველოში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში.



მწიფობები დამოუკიდებლობის დღე და უკეთესი მომავლის იმედით კიდევ ერთხელ ვივინებთ გმირებს, მამულს ყველაზე ძვირფასი - სიცოცხლე რომ ანაცვალოს. პოეტის სიტყვები ხშირად გონებაში. "ძლივს, ძლივს ამოდის მოვარე სამოთხისა/ ტყვია მიხანში მოსახვედრია,/ თავისუფლება ისე არ მოდის,/ თავისუფლება ლომთა ხვედრია." 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ, მებრძოლებო!

## ლიპნაზ გაბრეხია

# გამოფენა გაიხსნა...

მუზეუმების საერთაშორისო დღე 177 წლიდან აღინიშნება. მისი მიზანია ხელი შეუწყოს იმის გაცნობიერებას, რომ მუზეუმები წარმოადგენენ კულტურული გაცვლების, კულტურების გაზიარებისა და ხალხთა შორის ურთიერთობების, თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის განვითარების მნიშვნელოვან საშუალებას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გახლდნენ მასპინძლები და ორგანიზატორები 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის დღეს, მუზეუმში გამართული ღონისძიებებისა, რომელიც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაბადების 80, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებიდან 30-ე წლისთავს მიეძღვნა. ფოტოგამოფენა გაიხსნა აქ ამ დღეს.

შუაღმის 2 საათისთვის დარბაზში მუნიციპალიტეტის ინტელიგენციის წარმომადგენლებით აივსო. აქ იმყოფებოდნენ სამტრედიის ზვიადელები, ისინი, დღემდე რომ არ უღალატეს ზვიადისა და მერაბის ეროვნულ იდეალებს.

შეკრებილი მიესალმა და მეოცე საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორი გამორჩეული ლიდერისა და მამულიშვილის, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას შესახებ, აგრეთვე 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების ისტორიულ მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელმა, თავად ზვიადისა და მერაბის, ეროვნული იდეალების თავყვანისმცემელმა, ბატონმა ჯონი ნადირაძემ.

გამოფენის გახსნის პატივი და შესაბამისად ლენტის გაჭრის მისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, აქტიურ ზვიადელსა და ეროვნული სულის კაცს, ბატონ კობა ძიძიგურსა და მერიის კულტურის, განათლების, ძველთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსს, ქალბატონ ნატალია მანჯგალაძეს დაეკისრა. აპლოდისმენტების ფორმაში დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში, ფაქტობრივად, 9 აპრილს იშვა დამოუკიდებელი საქართველო აღნიშვნის საკრებულოს დამოუკიდებლობის საქმეში, ოჯახის მცირე ეკლესია, ტაძარია, წმინდათაწმინდა ოჯახის ხელშეუხებლობაში.

რტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსს, ქალბატონ ნატალია მანჯგალაძეს დაეკისრა. აპლოდისმენტების ფორმაში დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში, ფაქტობრივად, 9 აპრილს იშვა დამოუკიდებელი საქართველო აღნიშვნის საკრებულოს დამოუკიდებლობის საქმეში, ოჯახის მცირე ეკლესია, ტაძარია, წმინდათაწმინდა ოჯახის ხელშეუხებლობაში.



ნზე გაიჭრა ლენტო და დამსწრეთა თვალწინ ფოტოებმა გააცოცხლა ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია.

"იმდენად ახლობელი იყენენ იდეურად, ბრძოლის მიზნითა და მისწრაფებებით, რომ ცალ-ცალკე გაგვიჭირდა მოგვებიერა მერაბისა და ზვიადის ფოტოები". - აღნიშნა ბატონმა ჯონი ნადირაძემ, რომელიც გზადაგზა რიგ საკითხებზე იძლეოდა განმარტებებს.

"ოჯახის სიწმინდის დღეს გილოცავთ, შეუფასებელია ეროვნული იდეალების გამარჯვების საქმეში ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას წვლილი, 1989 წლის 9 აპრილს კი გადამწყვეტი როლი ენიჭება საბჭოეთის რღვევისა და შესაბ-

ამისად საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში, ფაქტობრივად, 9 აპრილს იშვა დამოუკიდებელი საქართველო აღნიშვნის საკრებულოს დამოუკიდებლობის საქმეში, ოჯახის მცირე ეკლესია, ტაძარია, წმინდათაწმინდა ოჯახის ხელშეუხებლობაში.



იშნა ბატონმა კობა ძიძიგურმა და მადლობა უძღვნა ბატონ ჯონი ნადირაძეს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მესვეურთ, თანამშრომლებს გარჯისათვის. იგივე აზრი განავითარა თავის გამოსვლაში ქალბატონმა ნატალია მანჯგალაძემაც.

"მადლიან კარგი გამოფენაა, მომავალ თაობებს შეეძლებათ, უკეთ გაეცნონ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, მეტი იცოდნენ იმ ადამიანთა შესახებ დამოუკიდებელი საქართველოს სათავეებთან რომ იდგნენ, მაღლობა ღონისძიების ორგანიზატორებს" - განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" მერიის სამსახურის უფროსმა, ზვიადისა და მერაბის იდეების გამარჯვებისათვის აქტიურმა მებრძოლმა, ბატონმა ლევან ახ-


ობაძემ. "ოჯახი მცირე ეკლესია, ტაძარია, წმინდათაწმინდა ოჯახის ხელშეუხებლობაში."



ბა, სიწმინდე, ყველაფერში კი განსაკუთრებით გადამწყვეტი და მთავარია ქალბატონების როლი. დღევანდელ დღეს უულოცავ ყველას. რაც შეეხება გამოფენას, იგი განსაკუთრებით დიდ სამსახურს გაუწევს ახალგაზრდობას." - განაცხადა ჩვენთან საუბარში პოეტმა ქალბატონმა მაცვალა ჩირგაძემ.

ღონისძიება საქსპოზიციო დარბაზში გაგრძელდა, ვინ იცის მერამდენედ, თუმცა, საოცრად გულდასმით ათვალიერებდნენ ჩვენი ყოფის ამსახველ ნივთებს, ფოტო და დოკუმენტურ მასალას მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები,

მერიის სამსახურის, მუნიციპალიტეტში მოქმედი შპს-ებისა და ააიპ-ების თანამშრომლები. მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით სწევდა გილობას მუზეუმის ხელმძღვანელი, ქალბატონი გულიკო ცინცაძე: "გამოფენა დიდხანს გასტანს, ასე რომ,



ვინც დღეს აქ ვერ მოვიდა, შეეძლება, ნებისმიერ დროს გვესტუმროს". - განაცხადა ბატონმა ჯონი ნადირაძემ.

ვიმედოვნებთ, ზვალ, ზეგ... ამ შესანიშნავ გამოფენას გაცილებით ბევრი ახალგაზრდა, მოსწავლე დაათვალიერებს ვიდრე აქ იყო 17 მაისს, რამეთუ სწორედ ახალგაზრდების, მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას ემსახურება მსგავსი ღონისძიებები, აქტივობები. ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ უდიდესი მადლობის ღირსნი არიან ყველანი, ვინც, თუნდაც, მცირედი წვლილი შეიტანა ამ სამაგრი საქმის, სრულყოფაში. ისინი, ყველაფერს რომ აკეთებენ საიმისოდ, რომ თაობებს არ დაავიწყონ დედაწლი ორი ერისკაცისა - ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, რათა არ გაფერქვითაღდეს, არ განუღდეს 1989 წლის 9 აპრილის ეროვნული მუხტი, სული-სიკვეთება. შთამბეჭდავი ღონისძიებით აღნიშნეს მუზეუმის საერთაშორისო დღე სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

# საუი ასული ვაზივით ღვირთს გალობით ავადრებდნენ ქართველობას

თბა ბაგუნაშვილი

ოვაციები, ემოციები და დარბაზი, მართალია, გადაჭედული არაა, მაგრამ იმ ადამიანებით სავსე, ვინც იმის ფასი იცოდა, რაც სცენაზე ხდებოდა. სცენაზე კი ანჩისხატის მგალობელთა გუნდი იდგა, სამტრედიის საგანგებოდ და დიდი სიყვარულით ჩამოსული. ჩვენს ქალაქში სტუმრობა განსაკუთრებულად მონდომეს და ფოლკლორის ცენტრის თავად შესთავაზეს, ბენია მიქაძის, ალიოშა და მალხაზ ერქვანიძეების მშობლიურ მუნიციპალიტეტს სწორედ ისინი სტუმრებოდნენ. ფოლკლორის ეროვნული ცენტრის პროექტი მთელი საქართველოს მასშტაბით ქართული საგალობლებისა და ფოლკლორის პოპულარიზაციას გულისხმობს და ამ ფარგლებში მომდერად ვგუფებს ქვეყნის ყველა კუთხეში მიაგვლინ კონცერტების გასამართად.



ამ პროექტის განხორციელება სახელმწიფოს მიერ სპეციალურად დაევა ფოლკლორის ეროვნულ ცენტრს, რომელსაც გიორგი დონაძე ხელმძღვანელობს. საგალობლების, პოლიფონიური და ფოლკლორული ქართული სიმღერების შემსრულებელთა ვგუფების ეს ტურნე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივი გადაწყვეტილების, საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედლობის აღნიშვნის დაწესებას მოჰყვა. ანჩისხატის მგალობელთა გუნდი, რომელიც 1988 წელს, სულთმოფენობა დღეს ანჩისხატის ტაძრის აღდგენისთანავე დაადგინა პატრიარქმა ამ ტაძარში საგალობდ, სწორედ ამ თარიღის აღსანიშნავად ეწვია სამტრედიას.



აღნიშნული კიდევ, რომ ამ ქალაქთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ, რადგან იმ 30 წლიდან, რაც ანჩისხატში გალობენ და რეგულარულ ღვთისმსახურებაში მონაწილეობენ, 20 წელი მათ გუნდს სამტრედიელი მალხაზ ერქვანიძე ხელმძღვანელობდა. აღნიშნულს კიდევ, რომ არა სასცენო, არამედ ორიგინალურთან მახლობელი შესრულების ავთენტური მანერით გამოირჩევიან. ისინი ზედმიწევნით ზუსტად იმ კილოთი ასრულებენ საგალობ-

ლებსაც და სიმღერებსაც, როგორც საუკუნეების წინ მას ქართველები მღეროდნენ. ძველი ჩანაწერებიდან ამ სიმღერებსა და საგალობლებს მათ ცნობილი ლოტბარი, სამტრედიის მკვიდრი, ბენია მიქაძე ასწავლიდა. ამ რაიონისადმი მათი სიყვარულიც აქედან დაიწყო. მალხაზ ერქვანიძესთან ხშირად სტუმრად მყოფი მეგობრები, მამამისის, ცნობილი სამტრედიელი მომღერლის, ალიოშა ერქვანიძისა და მისი მეგობრის,

ბენია მიქაძის მოსწავლეებიც იყვნენ. ანსამბლი "სანაჟარლოც" კარგად ახსოვთ, რომელიც სამტრედიის დღესაც ამჟღავნებს და რომელსაც ქართული ხალხური სიმღერის ეს ორი კორიფე ხელმძღვანელობდა. "მალხაზი უკვე აღარ ხელმძღვანელობს ჩვენს ჯგუფს, უფრო საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა, მაგრამ ბუნებრივია, მასთან მეგობრობა არ გაგვიწყვეტია. ახლაც ვცდილობთ, ჩვენი შემოქმედება ზედმიწევნით მახლობელი იყოს ბენია მიქაძ-

ის კლასთან და საშემსრულებლო მანერასთან. ბატონი ბენია საქართველოს ყველა კუთხის სიმღერის საუკეთესო და კრიმანჭულის უბადლო შემსრულებელი გახლდათ. 1990-იანი წლები, როცა სამტრედიასთან მათი მუშევრით გეგმონდა შეხება, ამ რაიონისადმი პატივისცემითა და სიყვარულით გვაგვებს." – ამბობდა ანჩისხატის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი ზაალ წერეთელი. მან ისიც აღნიშნა, რომ ამჟერად გუნდს კიდევ ერთი სამტრედიელი წევ-

რი, წარმომოხიტი გომელი სერგი მეგენიშვილი ჰყავს. თავის მხრივ სერგი მეგენიშვილი ამბობდა, რომ მისი ოჯახი ისევ მშობლიურ სოფელში ცხოვრობს. მამა-პაპისეულ ფესვებთან ურთიერთობა, ბუნებრივია, არ გაუწყვეტია. სამტრედიის მღეროდა რამდენიმე წელი, თუმცა, მისი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ანჩისხატში გალობა იყო. და იმ საღამოს გმირები სამტრედიელი ახალგაზრდებიც გახდნენ. ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ძალისხმევით რაიონებში ქართული ფოლკლორის შემსწავლელი ცენტრები გაიხსნა. სამტრედიის ამგვარი ცენტრი სახელოვნო სკოლის შენობამ შეიფარა. პედაგოგად ახალგაზრდა ლოტბარი ბესარიონ მახათაძე იქნა მოვლენილი. მას დღეისთვის 25 მოსწავლე ჰყავს, რომლებმაც რამდენიმე სიმღერა და საგალობელი იმ კონცერტზე შეასრულეს. ღვთისმშობლის წილხვედრილობის დღე ანჩისხატის ეკლესიის მგალობელთა გუნდის საგალობლებით აღინიშნა სამტრედიის. როგორც არასდროს ისე, ქართული იყო იმ დღეს კულტურის ცენტრის სცენა. დაახ, ქართული იყო და მალა ცაში ასული ვაზივით ღვირთს გალობით ავადრებდა ქართველობას.

## ენთგანეთის და ქართველობის სიყვარულის სიღრმე

თბა ბაგუნაშვილი

ფოლკლორით სავსე კვირა ჰქონდათ სამტრედიელებს. ქართული სულით ისევ და ისევ დაიმუხტა საქართველოს ერთი ბატარა ქალაქი, მხოლოდ გეოგრაფიული დატვირთვით რომ არის პროვინცია. თუ ბუნების არაა, არც თუ ცოტას მხაზაველი მისი სცენა, კიდევ ერთხელ გახდა ემოციის-ოვაციების ადგილი. ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის შემდეგ იმავე ხასიათის აკადემიური კონცერტი მალევე გაიმართა ქალაქში, სადაც იციან კარგი სიმღერის ფასი. ამჟერად სამტრედიელი ბიჭები იდგნენ სცენაზე, თანაც ისეთი ბიჭები, რომ შეიძლება ეიმედებოდეს მამულს, სამშობლოს საყვებლუროდ რომ არასდროს გაინდიან, კარგი ოჯახების მამები რომ არიან და ამიტომაც არც შრომა ემღებათ, არც სადღეგრძელო, არც სიყვარული და არც სიმღერა. საქმე ბრძოლაზე თუ მიდგა და... სჯერათ, მრავალჟამიერით დაასრულებენ მოგებულ ომებს. გადამეტებულად არ ჩათვლიდით ამ ემოციას, იმ კონცერტის მსმენელი რომ ყოფილიყავით. ქართულ საგალობელს ქართული ფოლკლორი დაუმატეს. და არა მხოლოდ ფოლკლორი, ქალაქური სიმღერის ნიბლიც არ დააკლეს დარბაზს.



ამ ბიჭების ერთ გუნდად შეკრა მეუფე საბას დამსახურება. სხვადასხვა მოქმედ ტაძრებში გალობდნენ, მეუფის რჩევით გაერთიანდნენ. ბევრი იყვნენ, საბოლოო შემადგენლობა შეირჩა და მას მერე ერთად დგანენ სცენაზე. და არა მარტო სცენაზე. ქართული სიმღერის შემოქმედი სიყვარულია. პოდა, ქართველობა იციან სიმღერის დროს გვერდით მდგომის სიყვარულის ფასი. ისინი ერთ დიდ ოჯახად შეივარდნენ. ერთმანეთი უყვართ და ამიტომაც გამოსდით კარგად ის, რასაც აკეთებენ. ამიტომაც ქვედა

დარბაზი ოვაციად. და კიდევ ამიტომაც მამაკაცური დარდით ის ადამიანიც გაიხსენეს, ვინც მათ გვერდით იდგა და ახლა ვერ დგას. წუთიერი ღუმელით პატივი მიაგეს მურად მჭედლიძის ხსოვნას. აღნიშნეს, რომ ზურაბ მეფარიშვილი, მათი უფროსი მეგობარი გახლავით. მათთან ერთად გალობდა, თუმცა იგი დღეს ამ შემადგენლობის წევრი აღარ არის. თავის მხრივ, დარბაზში მგდომი ზურაბ მეფარიშვილი, სცენაზე მდგომი უმცროსი მეგობრების ნიჭიერებასთან ერთად, ამ ახალგაზრდების ღირსეულ კა-

ცურ თვისებებს უსვამდა ხაზს. ამიტომაც გამოსდით ერთად სიმღერა, აღნიშნავდა. დათო იობაძე, კახა კიხიძე, დათო ჩხიკვაძე, მიხეილ რუხაძე, ბაიო გვერტაძე, გიორგი ოჩხიციანი, ლაშა თოფურია, ავთო კობრეიძე – ეს გვარ-სახელებია სამტრედიის მგალობელ-მომღერალთა გუნდის შემადგენლობა, რომლებსაც სათავეში ბესო მახათაძე უდგათ. სწორედ ის ბესო მახათაძე, ფოლკლორის ეროვნულმა ცენტრმა რომ მოავლინა სამტრედიის. ისევე როგორც ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის საღამოზე, ამჟერადაც სცენაზე იდგნენ სამტრედიელი ახალგაზრდები, ბავშვები, ფოლკლორის ცენტრის ძალისხმევით რაიონებში ჩამოყალიბებული სალოტბარო გუნდიდან, რომელსაც, როგორც იცით, ბესო მახა-

გან მეუფეს "კარგი ყური" აქვს და შეცდომას ძნელად გვაბატობს." შეიტყო ისიც, რომ გუნდის შემქმნის პარლამენტარ გია მიქელაძეს უკითხავს, რა არის საჭირო. საჭირო კი თბილისელი ხელმძღვანელის დაფინანსება იყო და იმ ერთი კითხვის პასუხად პრობლემა მაშინვე მოგვარდა. სამადლობელი სიტყვები არც მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიაზე ფოცხვერიაის მისამართით დაიშურეს, ყველა საჭიროებისა გვერდით გვიდგასო. ისევე როგორც ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის საღამოზე, ამჟერადაც სცენაზე იდგნენ სამტრედიელი ახალგაზრდები, ბავშვები, ფოლკლორის ცენტრის ძალისხმევით რაიონებში ჩამოყალიბებული სალოტბარო გუნდიდან, რომელსაც, როგორც იცით, ბესო მახა-

თაძე ხელმძღვანელობს. ამ სალოტბარო გუნდში მათი შეილებიც მღერა, რომელთა მამებმაც, დარბაზი ალაფროთიანეს. მამებს კი, იმდროს რომ უყვართ, ბესო მახათაძე საღამოზე "გვერდით მდგომთა" შორის ჰყავდათ ხმების შესახმარებლობდა. სამტრედიის მგალობელ-მომღერალთა გუნდმა კულტურის ცენტრის სცენაზე პირველი კონცერტი გამართა. ისეთი კონცერტი, ოვაციებმა რომ დააკვირვინა. ამ სასიამოვნო საღამოს თამამად შეიძლება ეწოდოს ერთმანეთის და საქართველოს სიყვარულის ერთი სიმღერა. ეს პირველია, წარმატებული დასაწყისი, ნიჭიერებასთან ერთად სიყვარულის და ღირსების ფუნდამენტს რომ ეფუძნება.

# გაფრენიდან ის დღეები, არ ჩანს...

ნათია ნაცვლიძე

ეს მეთორმეტე სკოლაა, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლა წლეულს სამ მეთორმეტეს აცილებს. დღეს ერთ-ერთი კლასის საზეიმო ცერემონიალის სტუმრები ვართ, თავად ბავშვები ბოლო ზარად რომ ნათლავენ. ენერჯის აფეთქება-ამოფრქვევის, თავბრუდამხვევი სიანცის და ბავშვური ვულუბრუების წლები წარსულის ჩაბარდა და ირეკება ცრემლიან-სისხარულიანი ზარი... ამიტომაც, ვიდრე ბავშვები მზარულ სკენებს შემოგვითავაზებდნენ, ვერ სკოლასთან გამოსამშვიდობებელი სვედიანი მონოლოგი წარმოადგინეს. შეხვედრა პუბლიკასთან სკოლის ყოფილი დირექტორის, ლენა ხაჭაიაის ხსოვნისადმი პატივის მიცემით დაიწყო. მერე მათი შეხუბრე ენერჯია სკენაზე ცეკვად, სიმღერად, მზარულ სკეტჩებად გადმოიფრქვა.



ერთმანეთის დასახსიათებლად საგანგებო ფოტოგრაფია მოამზადეს. ერთი მათგანი ფეხბურთელია, მეორე – ტანმოვარჯიში, მესამე კიდე მედიცინას, მეოთხე – გიტარას გაუტაცნია. ბევრი ახალისეს სკოლასთან ახლომდებარე ჯონის პამპურგერზე, საპირფარეოსთან მშურად გაყოფილ ერთ ღერ სივარტეზე. იმაზე, რომ თუ მეგობრულად პლანით გაბრუნდები და დან, სამტრედიამი ახალგაზრდები არ ბოლდებიან.

მოდლატე ცოლი ბანის ვალებით დამხრჩვალ ქმარს ცრემლიან “აღსარებას აბარებს”, რომ ორჯერ უღალატა, კრედიტს კრედიტი დაამატა... – მაცალე ქალო, ნათურას ვეკლი, თავს არ ვეღავო. – “ამშვიდებს” ქმარი. საინტერესო და მზარული იყო წარმოდგენა. განსაკუთრებულად მოხიბლა პუბლიკა მათ მიერ შესრულებულმა სიმღერამ ჯგუფ “მეზავების” რეპერტუარიდან. თუმცა, აბლოდისმენტები და მოწონება არც მარამ უღრელიძის მიერ შესრულებულ უცხოურ პიტებს დაკლებია. ენერჯიული ცეკვების პოპურით, მართლაც, არნახული ცეცხლი დაანთეს სკენაზე.

მოსწავლეებს მიესალმა ხათუნა გაბედავა და გზა დაულოცა: “თქვენ ჩემი სულის და გულის ნაწილი ხართ, ეს დღე არასოდეს განმეორდება, თქვენ ცხოვრების დიდ გზაზე გადინართ, შესანიშნავად ბრძანა რუსთველმა: “გული გონიერი”, გქონდეთ გული გონიერი, დავითივით გიყვარდეთ სამშობლო, ცოტნესავით მოყვასი და ილიასავით მტერი! მჯერა თქვენი და გისურვებთ უამრავ წარმატებას ცხოვრების სიძველეებით აღსავსე გზაზე”. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნანა მანჯგალაძე: “ყოველთვის ორიგინალური იყავით და ბოლო ზარიც ორიგინალური შემოგვთავაზეთ, გიბრანდობდით და მერე, ჩემს გულში ვჯავრობდი ამაზე, გზას დაგილოცავთ, თქვენ ახლა უნდა გააყვითლოთ არჩევანი. ერთს გაბარებთ, ქვეყნის გარეთ თქვენი ქვეყნის დესპანები ხართ, ოჯახის გარეთ – თქვენი ოჯახის, კიდევ ერთ ტვირთს აკიდებთ – თქვენი სკოლის დესპანობას! წარმატებებით გვევლოთ და გესახელებინოთ სამშობლოც, ქალაქიც და სკოლაც!”

ახალგაზრდებს მიმართა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიან ფოცხვერიამ: მოგესალმებით! გილოცავთ სკოლის დამთავრებას, ძალიან ლამაზი დღე იყო, შინაარსიანი და საინტერესო, ძალიან ნიჭიერები ხართ, მომეწონა ყველაფერი, ცეკვაც, სიმღერაც, იუმორიც, განსაკუთრებით კი ის, სამტრედიამი რომ არ “ბოლდებიან”. მაღლობა თქვენს სკოლას, პედაგოგებს და მშობლებს! შესანიშნავი ახალგაზრდები ხართ, წარმატებულ მომავალს გისურვებთ!”

ასევე მიესალმა ახალგაზრდებს და ბედნიერი მომავალი უსურვა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგურმა. შთამბეჭდავი იყო პედაგოგების მიერ მომზადებული ვიდეოგრაფია, სადაც სკოლის თითქმის ყველა პედაგოგმა (მათ შორის, პირველმა მასწავლებელმა, ირინა ჯანელიძემ) მიულოცა ბავშვებს და წარმატებები უსურვა მათ. უღამაზესი ფოიერვერი საზეიმო ცერემონიალის ფინალური ნაწილი იყო. ამ ახალგაზრდების ცეცხლოვანი ენერჯია უკვე ახალ, ძნელად დასაპყრობ სივრცეებს შეეჭიდება.

# სკოლა “ცოდნის” ბოლო ზარი

ნათია ნაცვლიძე

სკოლა “ცოდნის” 23-ე გამოსვლებამ სკოლასთან გამომშვიდობება 12 მაისს, ერთ-ერთი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით აღნიშნა. შეიძლება ითქვას, რომ მათ მაცურებელს, მართლაც, დაუვიწყარი და პოზიტიური დღე აჩუქეს.

ეფექტური და მიმზიდველი იყო გამოსვლები საღამოს დასაწყისი. მაცურებელმა იხილა მოსწავლეთა მიერ გადაღებული მოსაწვევი კლიპი.

შთამბეჭდავი და კრეატიული იყო ცეკვა ნეონით. ამ შესრულებამ დარბაზში მყოფი მაცურებლების მოწონება დაიმსახურა. სასიამოვნო იყო მეთორმეტეკლასელთა წარდგენა შესაბამისი იუმორისტული ელემენტებით. მოსწავლეთა მიერ შესრულებულმა სახუმარო სიტუაციებმა თუ მინიატურებმა მაცურებელი ადაფრთოვანა. განსაკუთრებული ოვაცია დაიმსახურა

რა ვიდროგოლმა “აბიტურიენტის ცხოვრება”. საღამოს აღამაზებდა ქართული ცეკვებისა და სიმღერების პოპური.

საღამო დასრულდა სკოლასთან გამოსამშვიდობებელი პიმნით, რომელმაც დარბაზში სასიამოვნო განწყობა შექმნა.

კურსდამთავრებულებმა მაღლობა გადაუხდეს სამტრედიის მერს, ვალერიან ფოცხვერიას, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსს, ნოე ივანიაძეს, კულტურის ცენტრის ხელმძღვანელს, ვეფხია ნადირაძეს გაწეული თანადგომისათვის.

ბავშვებს გზა დაულოცეს სკოლის დირექტორმა მარინე ნადირაძემ და დირექტორის მოადგილემ ირმა აკოფოვმა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიან ფოცხვერიამ.


ირმა აკოფოვამ მოსწავლეებსა და დარბაზში მსხდომთ მიულოცა ანდრიაობის დღესასწაული. კიდევ ერთხელ შეაქო ნიჭიერი, წარმატებული ახალგაზრდები და უსურვა მათ უფლის სიყვარული და ღირსეულად ცხოვრება.



მარინე ნადირაძემ გზა დაულოცა კურსდამთავრებულებს. მან გაიხსენა მათი მოსწავლეობის პერიოდი, წარმატებები, მიღწევები. ხაზგასმით მიუთითა, რომ ისინი არიან კრეატიულები, მოტივირებულები და შეძლებენ გახდნენ წარმატებული სტუდენტები, გადალახონ ცხოვრების ბარიერები. მან მაღლობა გადაუხადა მოსწავლეთა მშობლებს თორმეტწლიანი თანამშრომლობისა და ერთგულებისთვის. ასევე მაღლიერება გამოხატა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ ვალერიან ფოცხვერიასა და მერიის მისამართით.

სკოლა “ცოდნის” ბოლო ზარის ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეთა: თამაზ არევაძე, ეთუნა კაცაძე, თა-

მთა გაგუა, გიორგი ლონდარიძე, ნინო მინაშვილი, ნანა ნიკოლეიშვილი, ანა სტურუა, თორნიკე ტულუში, გიორგი ქავთარია, მარიამ შანიძე, ვიტალი შენგელია, მარიამ თორმანიძე, გურამ ჩხიკავაძე. ბოლოს, ტრადიციულად, მოსწავლეებმა თანატოლებს მისურვებზე სამახსოვრო წარწერები გაუკეთეს, დაემშვიდობნენ ერთმანეთსა და მასწავლებლებს.



# მეთორმეტე მეთორმეტედას

## რადგან მზე მათი მებობარია



### თბა გავსაფხვილი

შეუცნობელის შეცნობის მოლოდინმა გაათუნა ის მზიანი დღე-საუკუნეზე უხუცესი სკოლის კედლებში გატარებული თორმეტი წელი წყლის წვეთებით შემოვლილი თელი. ბავშვობის უდარდელობა იმ გამოსამშვიდობებელ საღამოზე ბოლო სიტყვას ამბობდა და სკოლაში მათთვის დარეკილი ბოლო ზარით ბოლოვდა ანცობდა. უკვე 12-ედა, ასწლეულგამოვლილი სკოლის კედლები კიდევ ერთ თაობას ულოცავდა მზერდელ შარაგზას, მათ ბავშვობასაც, ისევე როგორც სხვებისას, ამ ბუდიდან აფრენილების სსონგაში სხივამდვარ მოფონებებად რომ შეინახეს.

მეთორმეტე მეთორმეტედან, ანუ კლასი დიდი ნიჭიერებით, ბევრი წარჩინებული, 9 კლასის ჩათვლით 17 ათოსანი ჰყავდათ, 7 მედალოსნით, მომღერლებ-



ით, მოცეკვავეებით, მხატვრებით, დახვეწილი შემოქმედებით... კლასი ხალასი იუმორით, გულწრფელობით და ერთმანეთის, საკუთარი სკოლის სიყვარულით საგსე გოგო-ბიჭებით, იმ 26 თანაკლასელით, თავიანთი მიღწევების ხარჯზე მშობლიური ქალაქისა და ქვეყნის მეჭირნახულებას რომ შესძლებენ.

მეთორმეტე მეთორმეტედან მშობლიურ სკოლას ემშვიდობებოდა. საუკუნეს დატოლებული ჭადრების ჩრდილში ჩაყარული სცენა ცეკვით, სიმღერით, ლე-

ქსით აახშიანეს. იხუმრეს, იმხიარულეს, ერთმანეთსა და აღმზრდელ პედაგოგებს სათქმელი ლამაზად უთხრეს. განსაკუთრებული არტისტულობით ცალკეული მასწავლებლის სახე მის ხასიათზე მისდააკებული მუსიკალური ნომრებითა და მინიჭებული ნომინაციებით წარმოადგინეს. კლასის დამრიგებელს, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ ნინა კობრაავას კიდევ ერთხელ დაუჯერეს და თეთრ მაისურებზე, სამახსოვრო წარწერებით რომ აიჭრელეს, შოთა რუსთავე-

ლის აფორიზმები დააწერეს. უნდა აღინიშნოს, რომ ინტელექტი მთელი ამ სანახაობის ნიშა იყო.

მხიარულ განწყობასთან ერთად მთელი სკოლის ტკივილიც გაიზიარეს და წუთიერი ღუმილით მათ ხსოვნასაც მიავსეს პატივი, ვისი გარდაცვალებაც მტკივნეული იყო მათთვის და მათი პედაგოგებისთვის.

სათუთად მოეფერნენ პირველ მასწავლებელს, სვეტა ქობულას, მათ პირველ მეგზურს დიდფანჯრიან საკლასო ოთახში შიშამდგარი თვალებით შესვლის წინ. "ამიერიდან გადასადგმელი ვეღლა ნაბიჯი დაგელოცოთ. თქვენი ბედნიერების და წარმატებების ამბები ხშირად გამეგოს." - ლოცავდა ცხოვრების ახალ ასპარეზზე გასვლის წინ იგი ვინ მოსთვლის, უკვე მერამდენე კლასს, "აი ის" რომ აზიარა.



გულში ჩაიერეს კლასის დამრიგებელი ნინა კობრაავა, მეორე დედა მშობლიური სახლივით საყვარელ სკოლის კედლებში, დამრიგებელი, რომელსაც ხუმრობით დედამიწის მბრძანებელიც კი უწოდეს. "გამორჩეული კლასი იყო თავისი ნიჭიერებით და ბეჯითობით. მართალია, პირველი გამოშვება არ არის და ვეღლა მათგანის სკოლიდან წასვლა გარკვეულ გულისწევვტას იწვევს მასწავლებლებში, მაგრამ ეს კლასი თავისი განსაკუთრებულობით დამახსოვრებს თავს მთელ სკოლას. ალბათ, ასაკი მემატება და ამიტომაც განვიცდი ასე მტკივნეულად, მაგრამ მინდა, განსაკუთრებით წარმატებულები იყვნენ, ისინი იმსახურებენ, შესძლებენ საკუთარი სიტყვის თქმას ვეღლა კარგ საქმეში." - ეფერებოდა საკუთარ სადამრიგებლო კლასს ნინა კობრაავა.

სკოლის დირექტორმა ნინო ონიანმა უკვე ყოფილი დირექტორის, ხათუნა თე-

ლიას მილოცვა გადასცა ბავშვებს. იგი ჯერ კიდევ მამინ, ამ ბავშვებმა სკოლაში ფეხი რომ შემოდგეს, დირექტორი გახლდათ. მერე კი განაგრძო: "როგორ შეიძლება არ გვიყვარდეთ, თქვენ ხომ ჩვენს ხელში, ჩვენს თვალწინ დაფრთიანდით, დაქალდით და დაგაყვადით. საკუთარი სკოლის ნაწილს გატანთ ცხოვრების ერთეულ მეგზურად. თქვენს სამომავლო წარმატებებში ჩვენი წვლილიც არის, ამიტომ განსაკუთრებულები ხართ ჩვენთვის, ისევე როგორც ვეღლა თობა, ამ კედლებში ბავშვობაგატარებული." "მზე ჩემი კარგი მეგობარია" - ახმაურებდა ბინძურპარებულ ძველი სკოლის კედლებს სცენიდან დიდი პროფესიონალიზმით ამღერებელი სიტყვები, რომლის შემსრულებელიც ამ წარჩინებული კლასიდან "X ფაქტორის" მონაწილე თათა ხუჭუკა გახლდათ.

ქეთი არველაძე, შოთა ბარდაველიძე, ქეთი ბაღდაძე, გივი ბექაია, თათია გაგუა, ლუკა გაგუა, ნინო მამფორია, გიორგი ვაჩიშვილი, მარი კუჭავა, საბა მაჭარაძე, თათა ხუჭუკა, საბა მიქელაძე, თათა ხუჭუკა, ზუკა ინასარიძე, ანი ფრანგიშვილი, გიორგი სულაქველიძე, გიორგი თევზაძე, გიორგი კობრეიძე, ირაკლი გვალია, თენგი ჩაჩუა, ლევან ჯოგელიძე, არჩილ ორჯონიძე, ნიკოლოზ ძნელაძე საკუთარ სათქმელს ამბობდნენ ბავშვობასთან გამოსამშვიდობებლად, სკოლის ზარის წკრიალით რომ ჩაიბეჭდა მათ მეხსიერებაში.

და რადგან მზე მათი მეგობარია, ვეღლას სჯეროდა, რომ ბავშვობასთან გამოთხოვების წინ, ცხოვრების ახალ საფეხურზე საგზლად გატანებული გულწრფელი სურვილები და მილოცვები, დედის ლოცვის ძალით გაათენებს მათი გასავლელი წუთისოფლის მზიან ღამეს!

# ჩემი სკოლა

1960 წელს მშობლებმა რეინიგზის სამტრედიის 24-ე საშუალო სკოლაში შემიყვანეს. შემდგომში სკოლა რეინიგზის მე-14 საშუალო სკოლად გადაკეთდა, ახლა კი სამტრედიის მე-12 საჯარო სკოლაა. სკოლა ჩემი სახლიდან საკმაოდ შორს იყო. იქ მისასვლელად საღამოდაგო ხიდი უნდა გამეგლო. ამ სკოლაზე ჩემმა მშობლებმა არჩევანი იმიტომ შეაჩერეს, რომ იქ საუკეთესო პედაგოგები მოღვაწეობდნენ, თანაც დედაჩემს, ნათელა ბახტაძეს, ეს სკოლა ჰქონდა დამთავრებული. მამაჩემი, ლევან გოგიტიძე კი, სკოლაში ხაზვას ასწავლიდა. სკოლის შენობამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა (სხვათა შორის, ახლახან შენობა კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანეს). როგორც ჩემთვის ცნობილია, 1870 წელს კავკასიის სარკინიგზო ტრანსპორტის მშე-

ნებლობასთან დაკავშირებით სამტრედიამ აშენდა საორთქლმავლო დეპო და საერთო საცხოვრებელი მუშა-მოსამსახურეებისათვის. ჩამოსახლებული ოჯახის ბავშვებისათვის საჭირო გახდა სკოლის დაარსება. 1894 წელს გაიხსნა სკოლა, რომელმაც პირველი მოსწავლეები ამავე წლის 2 ოქტომბერს მიიღო. ორკლასიან სასწავლებელს ვინმე ნეზაპოდსკი ხელმძღვანელობდა. 1933 წელს დაწესებულება ქალთა საშუალო სკოლად გადაკეთდა.

სკოლას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: მუშანა ქართველიშვილი, თალიო მიქაძე, გიორგი კანდელაკი, ალექსანდრე კიკაბიძე, ლამარა ქავზინაძე და ნათელა შავიძე.

პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით ჩემი კლასის ხელმძღვანელი იყო ძალიან კარგი პედაგოგი

თინათინ ჩახუნაშვილი. მაღალ კლასებში მასწავლიდნენ ასევე გამორჩეული მასწავლებლები: ლილი კახაროვა (რუსული ენა და ლიტერატურა), ტატანა ცინცაძე-ტაბიძისა (ასევე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, კალისტრატე ცინცაძის შთამომავალი, ნოდარ ტაბიძის დედა), რომლის მეუღლე, პროკლე, გალაკტიონ ტაბიძის მმა იყო - ჩვენი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ლამარა ქავზინაძე (მათემატიკა), გოგიტა მაჩიტაძე (ფიზიკა), ნანი მაჩიტაძე (ასევე ფიზიკის მასწავლებელი), ლორეტა ჯანაშვილი (გერმანული ენა), ლამარა კარტოზია (გერმანული ენა), ქსენია დაღანიძე (ბიოლოგია), ზინა გაგუა (გეოგრაფია), ვერა ვაშაყიძე (ისტორია), ჟუჟუნა ვაშაყიძე (მათემატიკა) და სხვები.

სკოლაში ფუნქციონირებდა სიმღერისა და ცეკვის წრეები. სკოლის მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა ცნობილი ლოტბარი სერგო მუქქერია, ცეკვის წრეს კი - ჟორა (გიორგი) კეშელავა. სკოლა ხშირად იმარჯვებდა თვითშემოქმედების რაიონულ ოლიმპიადებზე. დიდი ყურადღება ექცეოდა სპორტს, სკოლაში იყო ძალიან კარგი სპორტული დარბაზი. საკმაოდ წარმატებული იყო მძლეოსანთა და ტანვარჯიშის წრე. სკოლაში გაიხარდნენ ცნობილი ტანვარჯიშეები: სპორტის ოსტატები ცისანა ჭკადუა და დალი იმანიშვილი, ასევე ცნობილი ხელბურთელი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ნაერების წევრი, სპორტის ოსტატი ამბერჯი ტაბიძე (იგი ჩემი კლასელი იყო). ტანვარჯიშის წრეს ხელმძღვანელობდა გივი კალაძე, მძლეოსნობის წრეს კი - გენო მუქქერია. სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობდნენ სხვადასხვა სფეროში. ბევრი ინჟინერი, ექიმი, მეცნიერი, მასწავლებელი აღზარდა სკოლამ, მათ შორის უნივერსიტეტის პროფესორი ნოდ-



არ ტაბიძე და ბევრი სხვა. იმედა, სკოლა კიდევ ბევრ წარმატებულ ადამიანს აღზრდის.

მე მეამაყება, რომ ამ სკოლის კურსდამთავრებული ვარ.

**ლალი ბერიძე**  
 ამ რამდენიმე სახტრედიის  
 № 14 საშუალო სკოლის  
 1969-1970 სასწავლო წლის  
 კურსდამთავრებული



# სიყვარული გმიგზურობდით, მელაურის სკოლაში!

ნათია ნაცვლიძე

**ბირველი სკოლა, რომელმაც ჩვენს მუნიციპალიტეტში ბოლო წარის საზეიმო სქონი გახსნა, მელაურის საჯარო სკოლაა. თონი, ამჯერად ბოლო წარი არა სკოლაში, არამედ რესტორანში დაირეკა. ესეც ახალი ტრადიციაა, ამ შესანიშნავი ახალგაზრდების დამკვიდრებელი. ხალასი იუმორი, წინიერება, ხელოვნების ნიჭი, საკუთარი ქვეყნის სიყვარულის განცდა – ეს ყოველივე გააერთიანა იმ საზეიმო დღემ, რომელმაც ბოლოჯერ შეკრიბა ახალგაზრდები.**

ბიჭებმა შესანიშნავი კლიბი მოამზადეს, დღეს ხომ მათი ყველა ფიქრი ატესტატის ფერია. მერე ფერები ცისარტყელას სპექტრის ფერებად დაიშლება და უფრო რთული და წინააღმდეგობებით

ბას, კრეატიულობას, დაულოცა ცხოვრების გზა და ბედნიერი მომავალი უსურვა მათ. ემოციებს ვერ იკავებდა და დღეაღამა მათი კლასის დამრიგებელი ლია ფაიქიძეც, რომელიც ასევე მიესა-



ალსავსე განხილვა სამყარო! სიმღერ-სიმღერით ქართული განათლების სატკივარიც გაახმოვანეს: სად მივყავართ რეფორმების ლიანდაგს? მოსწავლეების ეს ლამაზი ღონისძიება ფილოლოგმა ნატალია ფახურაძემ მოამზადა. არც ის გაგვიკვირდება, რატომ შემოიჭრა ტიციან ტაბიძის სასიყვარულო ლირია ამ ლამაზი ემოციებით დატვირთულ საღამოზე. წარმოადგინეს ტიციანის "გაზაფხულის დღესასწაული". ახლომდებარე სკოლის მოსწავლეებიც მრავლად იყვნენ მაყურებლებს შორის, ამ სკოლელებსაც მიესალმნენ და გაეხუმრნენ.

რადგან ერთ-ერთი მათგანი იუბილარი იყო, ტორტიც მორათვეს. გულთბილად მიესალმა ახალგაზრდებს სკოლის დირექტორი, ნინო ნიკოლეიშვილი, მან ხაზი გაუსვა მათ ნიჭიერებას, შემართო-



ასევე ლექსით მიესალმა დაწვებითების პედაგოგი ლუბა ვაშაძეც. ღონისძიებას დაესწრნენ და კურსდამთავრებულებს მიესალმნენ მუნიციპალიტეტის საერებულოს წევრი, სოფელ მელაურის მაჟორიტარი ხეიანი ფანცულაია და მერის წარმომადგენელი სოფელ მელაურში სოფიო კვაჩიანიშვილი. მათ ბედნიერი და წარმატებული სტუდენტობა და ქვეყნის

სადიდებელი საქმეების კეთება უსურვეს სამომავლოდ ამ ადამიანებს. ისინი დიდი სიფრცვების დასალაშქრად ემზადებიან, სკოლას კი სექტემბრიდან ციქნა გოგობიჭების ემოცია დაეპატრონება, სკოლა ახალ ცვლას მიიღებს! ამ შესანიშნავ პედაგოგებს ბევრი თაობა ჰყავთ დასაფრთხიანებელი!

## ახალი ლექსები

საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე აღინიშნა აპრილის დასაწყისში, 23 აპრილს კი წიგნისა და საავტორო უფლებათა დაცვის საერთაშორისო თარიღს საქართველოც შეუერთდა. ერთი სიტყვით, თოელი აპრილი მისი უღელბუქუნობა – წიგნისა და წიგნის კითხვას, წიგნთან მეგობრობის აუცილებლობის პროპაგანდას ეძღვნება. ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის კარგად ნაცნობმა, პატარებისათვის საყვარელმა პოეტმა, ბატონმა ილია ლეკვიშვილმა ამჯერად ის ლექსები გვაახლა, მის მომღვწო კრებულში რომ უნდა დაიდოს ბინა. გვწამს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ინტერესით წაიკითხავენ, ან წაუკითხავენ ნეკოლეებს უფროსი და-ძმები, მშობლები პოეტის ლექსებს და რაღა თქმა უნდა, კმაყოფილიც დარჩებიან. გაზეთის ნორჩ მკითხველთა სახელით მაღლობს ვუხდით პოეტს და მის რამდენიმე ლექსსაც საიმოვნებოთ ვებუქვით. **ლუბა ვაშაძე**

## დაბვიანებული მუზა

**ანუ ცოტა რამ ვეველაფერზე – ასე ჰქვია წიგნს, რომლის ავტორიც ბატონი მამია ცინცაძე გახლავთ.** “...თანამედროვე ქართველი კაცის გულსტკივილი გამოიხატოს პოელობის ქართულ სიტყვაში. იმედი გვაქვს, რომ ეს სისხლად, სილაღით, კეთილშობილებით გამოიბარა, ჭირვარამკამოვლილი, იუმორითა და სიბრძნით ნასაზრდოები ხხარტი და მოქმედი პოეტური ნააზრევი პოეზიის მოყვარულებს გულგრილს არ დატოვებს.” ვკითხულობთ ქალბატონ ნინა ჩაჩუას მიერ წიგნში შეტანილ ერთ-ერთ წერილში.



**XXI საუკუნე**  
დღითის სუნითაა გაქვდნითილი ეს საუკუნეც და ღვთის მახილი მალა ზეციდან კვლავ აღარ ესმით, ქვეყნად სიკეთის გაჩენილა ბევრი მომუხრე, ძლიერება კი ძველებურად თავს სუსტებს ესხმის.  
\*\*\*  
აზრი გაყოფილია, ხალხი დაყოფილია, ბევრი ბრანაია, ცოტა კმაყოფილია.  
\*\*\*  
ჩემო ქვეყნა, ჩემო ნამუსო, გული დამშიდა, სეველი აივსო, არ შემიძლია გავითავისო, ნამუსს ვასწავლის დღეს უნამუსო.  
**დღისთვის**  
ბავშვი – სამყარო, ბავშვი – დაადი, ბავშვი – მოვლენა და განთიადი.  
\*\*\*  
გონიერ კაცთან ქეიფი მსჯელობად, სიბრძნედ იქცევა, უგუნურთან კი – მოწყენად, ღრეობად გადაიქცევა.

**სალოცავი ხატი**  
მთა და ბარს ყვავილოვანი ცაზე რო მზე ახატია, სუნთქვაშეკრული შევეურებო ბეჭიდან მე და ხატია. სულში ნათელი იღვრება მოუთმენლად და მალულად, ვერ გამოუთქვამს სათქმელი, არადა, ვხედავ, თქმა უნდა. თუმც ცოტა ჭირვეული და ცოტაც ცანცარა მარტია, ღურჯ ზეცას შეიდგეროვანი წველ სარტყელი არტყია. მიწაზე მზე დაბაბიჯებს, ცაზეც ცხრაოვლა ანთია, იქაც და აქც ის ჩემი სალოცავი და ხატია.  
**აპრილი**  
აპრილია, ცელქობს მზე ფერად-ფერად ფუნჯებით, მოუხატავს მინდვრები ფერთა ხმადაუნჯებით, შევეურებ და რატომღაც, ხმას ვერ ვიღებ, ვმუხჯღებო. მეუფლება ერთიან მწველი გრძობა უჩვევი, შუბლს მივცინის მზე, ინით შევლებილი ტუჩებით. ვაშლებს და ატმების ფიფიქო შენაქუჩები, მოცქრიალებს აპრილი თვრო-ბოგრო ქუჩებით.

**ჩემო ტაბილო საქართველო!**  
ცა იებმა გადაპენტეს მოხატეს და გადალურჯეს, მინდა, ზეცა გადმოვხატო, ანდა ახალ ლექსს ჩავუჯღე დავივანო მინდა შენში, მე არა მაქვს სხვა საუნჯე, სულ მინდა, რომ შენ გიმღერო, ნურასოდეს დამამუხჯებ. დაილოცოს, სანატრელო, შენი ზღვა და შენი ხმელი, გაჩენიდან საყვარელო, შენ გივალბო, შენ გიმღერო. სანამ ძალი შემწვევს, სანამ პირში სული მიდგას, მანამ გრძობამორეული გისმენ, როგორც ღვდის “აივანას”. სიყვარული შენი მჭირდეს, მოურჩენელ სატკივარად, რადგანაც ვგრძნობ, გასაჭირშიც შენი კალთა დამიფარავს. ჩემო ტკბილო საქართველო, ჩემო დარდო და იმელო, კუნთმაგარი ვაჟკაცები კვლავ გვზრდება საიმელოდ.

**ქარო, რა გმავრთობა?**  
მოუთმენლად რომ გელი, გაზაფხულის თვეო, ყვავილები მოისხი, თვალუკუნა მზეო. გაგვიმართლე ერთხელაც, ნუ ავობ და დავობ, მარტო ჩემო ცელქო და საყვარელო დაო. იებს გული გაუღე, მზეო, გვეკვდები, ჩემს ენოშიც მოფრინდი, გამოიბი ფრთები, იქნებ, მეც ვერ გაგიგე, ან უბარლოდ, ვცოდავ, ქარო, რა გემართება, დამოშინდი ცოტა. სულის მოთქმა აცალე ფრთაფრთა სიოს, შენც რა დაგიშავდება, რომ მეც პელებს ვსდო. გადავეფრთ თაწე ფრიალ-ფრიალ ნიავეს, დაუკრიფო დღეიფოს ენებლა და ია.  
**სულიც ჩემი ცად მიიწევს, მერღვე სისხლის ღვარია, მოვარემან ლახვარი მცა, გიხაროდენ, მარია, ანგელოზთა ხმა მოისმის, ცით წვეთს “ავე მარია!”** ოსანაო, ღვთისმშობელო, ოსანაო, მარია!  
**ილია ლავანიძე**





# მუცხიჯედიხუდი ფესტივალი სამცხედიაში

მუნიციპალიტეტის მერიისა და საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით, სამტრედიის მულტიკულტურული ფესტივალი გაიმართა.

“მომავლის პარკში” უჩვეულო ხალხმრავლობა იყო. ღონისძიების ინიციატორი და მთავარი მასპინძელი საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი სოფიო კირიაძე ერთგვარ მეგობრობას უწევდა დამთვალიერებელს. იქვე აანონსებდა, რომ მულტიკულტურული ფესტივალი, რომელიც წელს პირველად ჩატარდა სამტრედიის, სამომავლოდ ტრადიციულ სახეს მიიღებს.

1-ლი, მე-3, მე-4, მე-10, მე-11, მე-12, ნაბაკევის, გომის, დიდი ჯიხაიშის საჯარო სკოლები და კერძო სკოლა “ცოდნა” იმ დღეს საინტერესოდ წარმოჩნდა. განსაკუთრებულად აქტიურობდნენ ახალგაზრდები. საქართველო, ინდოეთი, საბერძნეთი, ბრიტანეთი, ბრაზილია, იაპონია, უკრაინა, გერმანია, ჩინეთი, მექსიკა თავისი სიმბოლოებითა და მრავალფეროვნებით გააცნეს დამთვალიერებელს.



განსხვავებულ ღონისძიებას სამტრედიელების მხრიდან დიდი დაინტერესება მოჰყვა. მულტიკულტურულმა ფესტივალმა ერთგვარი სახალხო ზეიმის სახე მიიღო და შემაჯამებელი კონცერტით დაგვირგვინდა.

**ბობო ნახიტაშვილი**

## წარმართებით იასპარეზეს

რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანში დამთავრდა პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც დიდი წარმატებით იასპარეზეს ცნობილი მოჭადრაკის, სოფიო ტერელაძის ქალიშვილმა მარიამ თევზაძემ და მისმა მეუღლემ, საერთაშორისო დიდოსტატმა, საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონმა და პრინციპალმა თორნიკე სანიკიძემ. ეს უკანასკნელი მონაწილეობას დებულა და მთავარ ტურნირში, ხოლო მარიამი – მთავარი ტურნირის პარალელურად მიმდინარე ქალთა ტურნირში თორნიკემ 9-დან 6, 5 ქულით მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, რაც ამ ღონის ტურნირისათვის უდავოდ დიდი წარმატებაა.



რადგანაც ამ ნიჭიერი ფაწველის შესახებ ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იგი არა მარტო მაღალი ღონის მოჭადრაკეა, არამედ სპორტის ამ სახეობაში წარმატებული მწვრთნელიცაა. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად ასპარეზობდა ლეგენდარული მაია ჩიბურდანიძე და რომლის მთავარი მწვრთნელი სწორედ თორნიკე იყო, შესძლო დრეზდენის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მოგება, რაც ჩვენი ნაკრები გუნდის ისტორიულ გამარჯვებად იქნა მიჩნეული. ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი, ბუნებრივია, მისი მთავარი მწვრთნელი გახლდათ. მეითხველს მინდა გაუწყო ისიც, რომ ამ ადამიანის ფესვები ჩვენი რაიონიდან მოდის. მისი მშობლები ძირითადი სამტრედიელები არიან, ხოლო ბაბუა და ბებია წარსულში საყოველთაოდ აღიარებული მედიცინის მუშაკები – ცნობილი გინეკოლოგი ქალბატონი ია მაჩიტაძე და რაიონის მთავარი ექიმი, ბატონი ნოდარ ოდილაკაძე იყვნენ.



რაც შეეხება მარიამ თევზაძეს, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მთავარი ტურნირის პარალელურად მიმდინარე ქალთა ტურნირში დებულა მონაწილეობას, მანაც შესანიშნავად იასპარეზა და პირველობა არავის დაუთმო.

გუსურვებ ნიჭიერ წყვილს ახალ-ახალ წარმატებებს!

**ოთარ სპერია**



თბილისის ქუჩაზე, ღია ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს “ბაჭიას” ავტონაწილების მაღაზია, სადაც გაყიდვაშია ყველა მარკის მსუბუქი ავტომანქანების ნაწილები, ზეთები, აქსესუარები, აკუმულატორები.  
ტელ.: 599 41 18 09; 574 43 98 98.

### ღამით ბახტაძეს!

ერუდიტულ და კარგ ადამიანს, გილოცავთ დაბადების დღეს! ჯანმრთელობა და წარმატებები მოეტანოს თქვენთვის ყველა წელიწადს, მზისქვეშეთში ამიერიდან გასაველეს. ჯანმრთელობა და უღვევი სიხარული დაგებდოს თქვენს ოჯახს. მდიდარი ყოფილიყავით მეგობრებისა და გარშემომყოფების სიყვარულითა და პატივისცემით.



“სამტრედიის მაცნე”

### ჰენერა კაკაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ ქალბატონო ვენერა, ჩვენი პატივსაცემ და საყვარელ პიროვნებას, დიღხანს გვენახეთ ასე მხნედ და ყოჩაღად.



“სამტრედიის მაცნე”

### განონი თარგაშაძეს და ნანა ზანიძეს!

დაბადების დღეს უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ მსოფლიოში საუკეთესო დედა-შვილს, ორ უსაყვარლეს ქალბატონს, დედის ეტალონებს, სიღამაზის შემოქმედებს, დაბეწვილი გემოვნების შემოქმედებს, უდალტო მეგობრებს და საზოგადოებისთვის საიმედო ადამიანებს. მინდა ბედნიერების მწვერვალები დაგეყვართ, ჩემო საამაყოებო, სათაყვანებლო გოგონებო. უფალმა დაიფაროს თქვენი ყოველდღიურობა!



ბობო ნახიტაშვილი

### ქალბატონ ვულისო გოგიტიანს!

ჩვენს მეგობარს, უანგარო და კეთილშობილ ქალბატონს, ღირსეულ დედას და ბებიას, სხვებისთვის მზრუნველ ადამიანს, პედაგოგს, ინტელექტუალს, კეთილი სურვილებით ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ყოველივე კარგს.



ღმერთი იყოს მისი მფარველი!

“სამტრედიის მაცნე”

## 38 წლის დღე

38 წელი გაიდა მას შემდეგ, როცა ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა (მთავარი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი) მოიპოვა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი, რომელმაც 1981 წლის 13 მაისს შორეულ ქ. დიუსელდორფში (გერ) ფინალურ მატჩში ანგარიშით 2:1 დაამარცხა ქ. იენის “კარლ ცაისი” (გერ). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ვლადიმერ გუცაევი და ვიტალი დარასელიამ.

ბობო ნახიტაშვილი

რედაქციის მისამართი:  
სამტრედიის რაიონული ქ. №6  
ტელ: 599 02 41 11



დირექტორი ბემან გოგიტიანი  
მთავარი რედაქტორი ქვიციანი ჯემალ  
გამომწვევი რედაქტორი თეა ბაგუნიანი  
პასუხისმგებელი მდივანი ლეონ ბაბუნიანი  
კომპიუტერული გრაფიკა მამა პაპაია